საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის

შიდა ინფორმაციის პლატფორმით სარგებლობის წესები

ვერსია V.3

დოკუმენტის ვერსიები

თარიღი და ვერსია	ცვლილების შინაარსი
06/2022 v.1	დამტკიცდა პირველი ვერსია
06/2023 v.2	მცირე დაზუსტება რეგისტრაციის ნაწილში
09/2024 v.3	მცირე ცვლილება რეგისტრაციის ნაწილში

დოკუმენტის შინაარსი

1. მომსახურების ზოგადი აღწერა 2
2. მონაწილეთა რეგისტრაცია 2
3. შიდა ინფორმაციის გამოქვეყნება 3
4. შიდა ინფორმაციის პლატფორმის ხელმისაწვდომობა 4
5. სისტემაში შესვლა 5
6. პირობების ცვლილება 5
7. მარეგულირებელი კანონმდებლობა 6
8. სენბის საკონტაქტო ინფორმაცია 6

დანართი A.1 6

1. მომსახურების ზოგადი აღწერა

1. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ (სენბი), რომელიც არის დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერატორი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესების“ (მონიტორინგის წესები) შესაბამისად ადმინისტრირებას უწევს შიდა ინფორმაციის პლატფორმას, სადაც რეგისტრირებულ მონაწილეებს საშუალება აქვთ გამოაქვეყნონ შიდა ინფორმაცია, მონიტორინგის წესების შესაბამისად.
2. შიდა ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია ქართულ და ინგლისურ ენებზე.
3. შიდა ინფორმაციის პლატფორმა წარმოადგენს ინფორმაციის გამოქვეყნების ელექტრონულ საშუალებას და ხელმისაწვდომია მისამართზე: https://umm.genex.ge/
4. შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის დათვალიერების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, ხოლო ინფორმაციის გამოქვეყნების საშუალება მიეცემათ მხოლოდ სენბის მიერ დარეგისტრირებულ მონაწილეებს.
5. სენბი ასევე უზრუნველყოფს კომისიისთვის გამოქვეყნებული შეტყობინებების მიწოდებას და შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების მეშვეობით, ამ შეტყობინებებზე წვდომას..

2. მონაწილეთა რეგისტრაცია

1. ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება ფლობდეს მონიტორინგის წესებით განსაზღვრულ შიდა ინფორმაციას და აქვს მისი გამოქვეყნების ვალდებულება, უფლებამოსილია მოითხოვოს შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე რეგისტრაცია.
2. რეგისტრაციის მოთხოვნის მიზნით, პირმა (განმცხადებელმა) სენბის უნდა წარუდგინოს შევსებული და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი რეგისტრაციის ფორმა და ფორმით მოთხოვნილი ინფორმაცია:
   ა) უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ნოტარიულად დამოწმებული მატერიალური დოკუმენტის სახით - მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის ქ. №36, მე-2 სართული. განცხადებების მიღება ხდება სამუშაო დღეებში, 11:00-17:00 პერიოდში. განცხადება ჩაითვლება მიღებულად ბირჟის ოპერატორისთვის მისი ჩაბარების დღეს.
   ბ) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან კვალიფიციური სტამპით დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის სახით - დოკუმენტის შესაძლებელია გაეგზავნოს ბირჟის ოპერატორს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე - mail@genex.ge ან წარედგინოს ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი ფორმით, „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე.
3. სენბი უფლებამოსილია განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი განაცხადში ან მის დანართებში მითითებული ინფორმაციის დადასტურების მიზნით.
4. რეგისტრაციის ფორმა არ ექვემდებარება განხილვას, თუ არასრულად ან არასწორადაა წარმოდგენილი, მათ შორის არ არის შევსებული გარკვევით. აღნიშნული ხარვეზის

შემთხვევაში, სენბისთვის ფორმის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება განმცხადებელს, რომელიც უფლებამოსილია სენბის ხელახლა წარუდგინოს რეგისტრაციის ფორმა.

5. თუ განმცხადებლის მიერ სრულად იქნა წარმოდგენილი რეგისტრაციის ფორმით მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები, სენბი რეგისტრაციის ფორმის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დაარეგისტრირებს მონაწილეს პლატფორმაზე.
6. რეგისტრაციის დასრულების შესახებ მონაწილეს ეცნობება მის მიერ რეგისტრაციის განცხადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
7. შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე მონაწილის რეგისტრაცია გულისხმობს, რომ პლატფორმაზე ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით წვდომა მიეცემა (მათთვის შექმნილი ანგარიშის მეშვეობით) მონაწილის მიერ რეგისტრაციის ფორმით დასახელებულ მის წარმომადგენლებს.რეგისტრაციის დასრულებისთანავე, შიდა ინფორმაციაზე წვდომისათვის (პლატფორმაზე შესვლისათვის) საჭირო ინფორმაცია და ინფორმაციის გამოქვეყნების ინსტრუქცია ეგზავნებათ მონაწილის მიერ რეგისტრაციის ფორმაში დასახელებულ წარმომადგენლებს.
8. პლატფორმაზე ერთი პირი წარმომადგენლად შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთხელ (სისტემაზე წვდომისათვის ექნება ერთი ანგარიში). თუ ერთი წარმომადგენელი არის უფლებამოსილი ერთზე მეტი მონაწილის სახელით შიდა ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, მისი ანგარიშის მეშვეობით ექნება საშუალება გამოაქვეყნოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ყველა მონაწილის სახელით.
9. რეგისტრირებულ მონაცემებში (რეგისტრაციის ფორმაში ან მის დანართში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნით დაუყოვნებლივ წარუდგინოს სენბის ახალი რეგისტრაციის ფორმა, იმის მითითებით, თუ რის ცვლილებას ითხოვს იგი.

3. შიდა ინფორმაციის გამოქვეყნება

1. პლატფორმა გამიზნულია მხოლოდ მონიტორინგის წესებით გათვალისწინებული შიდა ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის.
2. პლატფორმაზე მონაწილის წარმომადგენლის ნებისმიერი მოქმედება განიხილება როგორც ამ მონაწილის მოქმედება. შედეგად, მონაწილე სრულად პასუხისმგებელია მისი წარმომადგენლის ნებისმიერ მოქმედებაზე.
3. მონაწილემ უნდა უზრუნველყოს შიდა ინფორმაციის გამოქვეყნება მონიტორინგის წესების შესაბამისად. მონაწილე პასუხისმგებელია მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობაზე, სიზუსტეზე და უტყუარობაზე. სენბი არ არის ვალდებული, აკონტროლოს მონაწილეთა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია და მიუთითოს შესაძლო ხარვეზების შესახებ.
4. სენბი არ უზრუნველყოფს მონაწილის სახელით შიდა ინფორმაციის გამოქვეყნებას.
5. მონაწილემ ინფორმაციის გამოქვეყნებისას უნდა დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები (მათ შორის, პერსონალური მონაცემებისა და კომერციული საიდუმლოების შესახებ), იმის გათვალისწინებით, რომ შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯაროდ, ნებისმიერი პირისათვის.

6. მონაწილემ შიდა ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს როგორ ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. მონაწილე თავადაა პასუხისმგებელი თარგმნის სისწორეზე.
7. სენბი მის ვებგვერდზე ათავსებს შიდა ინფორმაციის პლატფორმის გზამკვლევს.
8. სენბი არ იღებს პასუხისმგებლობას გამოქვეყნებული შიდა ინფორმაციის მესამე პირების მიერ ბოროტად გამოყენებაზე.
9. მონაწილეს შეუძლია შეცვალოს ან წაშალოს მის მიერ შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე გამოქვეყნებული (წარმომადგენელი უფლებამოსილია შეცვალოს/წაშალოს ამ მონაწილის ნებისმიერი სხვა წარმომადგენლის მიერ გამოქვეყნებული) შიდა ინფორმაცია. ამავდროულად, გამოქვეყნებული ინფორმაციის წაშლა გულისხმობს, რომ ინფორმაცია აღინიშნება როგორც წაშლილი, თუმცა იგი არ წაიშლება სისტემიდან და იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის.
10. მონაწილე არ არის შეზღუდული გამოქვეყნებული შიდა ინფორმაციის რაოდენობით.
11. თუ მონაწილეს აქვს ტექნიკური ხარვეზი პლატფორმაზე წვდომასთან ან შიდა ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მან უნდა მიმართოს სენბის, რომელიც მიიღებს ყველა საჭირო ზომას მონაწილის დასახმარებლად.
12. სენბის არ შეიძლება დაეკისროს რაიმე პასუხისმგებლობა ფორსმაჟორის დროს. ფორსმაჟორად განიხილება ბუნებრივი მოვლენა, ომი, საგანგებო მდგომარეობა, გაფიცვა, ლოკაუტი, ასევე, მხარის ნებისგან დამოუკიდებელი სხვა მოვლენა, რომელიც, ამ მხარის კეთილსინდისიერი მცდელობის მიუხედავად, შეუძლებელს ხდის შიდა ინფორმაციის პლატფორმის სათანადო ადმინისტრირებას.

4. შიდა ინფორმაციის პლატფორმის ხელმისაწვდომობა

1. შიდა ინფორმაციის პლატფორმა ხელმისაწვდომია და მაზე ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში, ყოველ კალენდარულ დღეს.
2. სენბიმ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა პლატფორმის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. პლატფორმაზე წვდომა შეიძლება შეიზღუდოს სენბის მიერ ტექნიკური სამუშაოების ჩატარების მიზეზით, ასევე განსაკუთრებული ტექნიკური შეფერხების დროს.
3. შიდა ინფორმაციის პლატფორმის გეგმური და დაუგეგმავი ხელმიუწვდომლობის შესახებ სენბი ინფორმაციას აქვეყნებს მის ვებგვერდზე და ასევე აცნობებს პლატფორმაზე რეგისტრირებულ წარმომადგენლებს. შიდა ინფორმაციის პლატფორმის ხელმიუწვდომლობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება სულ მცირე 1 სამუშაო დღით ადრე, ხოლო თუ ამ ვადის დაცვა შეუძლებელია, ინფორმაცია ქვეყნდება შეძლებისდაგვარად სწრაფად. შეფერხების აღმოფხვრის შემდეგ, სენბი ასევე აქვეყნებს ინფორმაცია შიდა ინფორმაციის პლატფორმის ხელმისაწვდომობის შესახებ.
4. პლატფორმის ხელმიუწვდომლობის პერიოდში, სენბი უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზებას.
5. ალტერნატიული მეთოდი გულისხმობს, შიდა ინფორმაციის სენბისთვის მიწოდებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ამ დოკუმენტის A.1 დანართით განსაზღვრული ფორმით. შევსებული A.1 დანართი წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან უნდა გაიგზავნოს სენბის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: support@genex.ge) შეტყობინების გამოქვეყნებას სენბის უზრუნველყოფს მის ვებგვერდზე www.genex.ge.

6. მონაწილეებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა ხდება სამუშაო დღეებში, სამუშაო საათებში: 09:00-18:00.

5. სისტემაში შესვლა

1. შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე წვდომა აქვთ მონაწილის მიერ დასახელებულ წარმომადგენლებს. წარმომადგენელი უფლებამოსილია მასთან დაკავშირებული მონაწილის/მონაწილეების სახელით გამოაქვეყნოს/განაახლოს/წაშალოს შეტყობინებები შიდა ინფორმაციის შესახებ.
2. წარმომადგენელი პასუხისმგებელია შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე მის ანგარიშზე წვდომისათვის საჭირო ინფორმაციისა და ინფრასტრუქტურის დაცულობაზე.
3. წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ სისტემაში შესვლისათვის გამოყენებული პაროლი არის სათანადო სირთულის (რეკომენდირებული სულ მცირე რვა სიმბოლოს გამოყენება, საიდანაც, ერთი მაინც უნდა იყოს დიდი რეგისტრის ლათინური ასო, მცირე რეგისტრის ლათინური ასო, ციფრი, სიმბოლო).
4. წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მისთვის და არ გაუზიაროს სხვა პირებს ნებისმიერი მიზნით. ამავდროულად, წარმომადგენელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა (მათ შორის, არ დატოვოს სისტემაში შესული ფანჯარა გახსნილი), რათა მინიმუმამდე შეამციროს მისი ანგარიშით სხვა პირების მიერ პლატფორმაზე წვდომა.
5. სისტემაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ორმაგი ავტორიზაციით: მომხმარებლის სახელისა და პაროლის სწორად შეყვანის შემდეგ, დადასტურების კოდის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის ან მობილური ტელეფონის მეშვეობით (მობილური ტელეფონის მეშვეობით კოდის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული მობილური ოპერატორების ნომრებზე).

6. პირობების ცვლილება

1. სენბი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს/განაახლოს შიდა ინფორმაცის პლატფორმით სარგებლობის წესები.
2. შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე რეგისტრირებულ მონაწილეებს სენბის მეირ უნდა ეცნობოთ მოსალოდნელი ცვლილების შესახებ. ამავდროულად, განხორციელებული ცვლილების შემდეგ, განახლებული სარგებლობის წესები დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე რეგისტრირებულ ყველა მონაწილეს და გამოქვეყნდეს შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე, მის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 კალენდარული დღით ადრე.
3. მონაწილის (მისი წარმომადგენლის) მიერ შიდა ინფორმაციის პლატფორმის გამოყენების გაგრძელება განიხილება როგორც თანხმობა განახლებულ/შეცვლილ პირობებზე.

7. მარეგულირებელი კანონმდებლობა

შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე ინფორმაციის გამოქვეყნებასთან, მათ შორის ამ წესებთან დაკავშირებული სენბისა და მონაწილეს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8. სენბის საკონტაქტო ინფორმაცია

სენბის ოფიციალური მისამართია: ქ. თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის ქ. №36, მე-2 სართული. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის შემთხვევაში წერილი უნდა იყოს გამოგზავნილი მონაწილის რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.

ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მოგვმართეთ:
ელექტრონული ფოსტა: mail@genex.ge
საკონტაქტო ტელეფონი: +995 32 205 45 88

ტექნიკური საკითხებთან დაკავშირებით მოგვმართეთ:
ელექტრონული ფოსტა: support@genex.ge
საკონტაქტო ტელეფონი:

- +995 32 205 45 88 შიდა 104 ან 105
- +995 595 327 064

დანართები

დანართი A.1

შიდა ინფორმაციის პლატფორმის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის შიდა ინფორმაცის პლატფორმით სარგებლობის ზოგადი პირობების“ 1.9 პუნქტის შესაბამისად, უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციის მიწოდება. სტანდარტული ფორმა .xlsx ფორმატში ხელმისაწვდომია შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე.

ცხრილი A.1

ინფორმაცია გამომქვეყნებლის შესახებ
მონაწილის დასახელება
მონაწილის საიდენტიფიკაციო კოდი
მონაწილის წარმომადგენლის სახელი და გვარი
მონაწილის წარმომადგენლის პირადი ნომერი
მონაწილის წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი
შეტყობინების სახე
ახალი შეტყობინება
არსებული შეტყობინების განახლება
არსებული შეტყობინების წაშლა

შეტყობინების შინაარსი
შეტყობინების ტიპი
დაწყების დღე (დღე/თვე/წელი)
დაწყების საათი (სთ:წთ)
დაწყების დღე (დღე/თვე/წელი)
დაწყების საათი (სთ:წთ)
შეზღუდვის ტიპი
აქტივის დასახელება
აქტივის EIC კოდი
ობიექტის ტიპი
საწვავის ტიპი
შემთხვევის ტიპი
აქტივის სიმძლავრე (მგვტ)
ხელმიუწვდომელი სიმძლავრე (მგვტ)
ხელმისაწვდომი სიმძლავრე (მგვტ)
ვაჭრობის ზონა
შეტყობინება
შენიშვნა